

ისრაელში უძველესი ქართული ეკლესიის ნაშთებს მიაკვდიეს



ისრაელში, საპორტო ქადაქ აშდოდში არქეოლოგიური გათხრების მიმდინარეობისას მე-6 საუკუნის ქართული ეკლესიის (ან მონასტრის) მოზაიკური იატაკის ნაშთები აღმოაჩინეს. ინფორმაციას [Jerusalem Post](#)-ი ავრცელებს.

გათხრებს თელ-ავივის უნივერსიტეტის დოქტორი და რაიფცივის უნივერსიტეტის არქეოლოგები ატარებენ.

გამოცემის ცნობით, აღმოჩენის უნიკალურობა იმაში მდგომარეობს, რომ ბერძნულ ენაზე გაკეთებული წარწერის თანახმად, ეს ეკლესია ქართველმა ქრისტიანებმა ააგეს, რასაც მოწმობს წარწერაში გამოყენებული განსაკუთრებული კადენდარული სისტემა, რომელსაც ძველ საქართველოში იყენებდნენ.

იატაკზე აღმოჩენილი ბერძნული წარწერა იუწყება რომ ეს ეკლესია ეპისკოპოს პროკოფის აუშენებია, მშენებლობის თარიღი კი მოზაიკაზე ქართული კადენდრის მიხედვითაა დატანილი. “მესამე ინდიქტიონი 292 წელი” ისრაელი უნივერსიტეტის დოქტორის რეია დი სენგის თქმით ეს ჩვენი წელთაღრიცხვის 539 წელს შეესაბამება.

„ეს წმინდა მიწაზე ქართული კადენდრის გამოყენების ყველაზე ძველი შემთხვევაა“- განაცხადა დი სენგიმ.

მეცნიერები აცხადებენ, რომ აქამდე მათთვის ცნობილი ქართული ნაგებობები, აღნიშნული ტერიტორიიდან ათეულობით კილომეტრით სამხრეთით, იერუსალიმში და მის შემოგარენში მდებარეობდა, ხმელთაშუაზღვის სანაპიროზე კი აქამდე მსგავსი აღმოჩენა არ

გაკეთებულა. არქეოლოგების აზრით, აღმოჩენილი მოზაიკა პეტრე იბერის მიმდევრების ეკდესიისაა. პეტრე იბერი ბეთლემში პირველი ქართული მონასტრის დამაარსებელია. ის 491 წელს 80 წლისა გარდაიცვალა. სიცოცხლის უკანასკნელი წლები მან სწორედ აშლოდში გაატარა.

„ისტორიული წყაროების მიხედვით აშლოდში თავისი სიცოცხლის უკანასკნელი წლები გაატარა გამოჩენილმა ქართველმა მოღვაწემ პეტრე იბერმა. ახლა როგორც ჩანს, ჩვენ ამის რეალურ მტკიცებულებას მივაგენით“- წერს ისრაელის სიძველეთა სააგენტო.

<https://www.youtube.com/watch?v=jU991axVbBs>